



მძღოლების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება მინოდების სფეროში

საავტომობილო ტრანსპორტის ინდუსტრია ჩვენი ეკონომიკის ხერხემალია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში და მობილობაში, ამასთან, სექტორი სერიოზული სოციალური, შრომითი და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას და მძღოლების სერიოზულ დეფიციტს განიცდის, რაც COVID-19 პანდემიის გავლენამ მხოლოდ დროებით შეამსუბუქა.

როგორც ინდუსტრიის დაინტერესებული მხარეები, ჩვენ მზად ვართ შეცვალოთ ეს ტენდენცია და ვიღებთ ზომებს სექტორის მიმზიდველობის გასაზრდელად და არსებული სამუშაო ადგილების ხარისხის ხაზგასასმელად. მსოფლიო საავტომობილო ტრანსპორტის ორგანიზაცია (IRU), the Global Shippers' Alliance (GSA) და International Transport Workers' Federation (ITF) ერთობლივი ძალებით მუშაობენ რათა არსებითად გააუმჯობესონ მოცემული ვითარება, დაწყებული შესაბამისი ქარტიით.

ამ ქარტიის ძირითადი ამოცანაა მძღოლების საქმისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესება დატვირთვისა და გადმოტვირთვის ადგილებზე და ამით სამუშაო პირობების გაუმჯობესება, ოპერაციული ეფექტურობის გაზრდა და საბოლოოდ, მძღოლის პროფესიის პოპულარიზაცია.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მნიშვნელოვანია საერთო ღირებულებების დაცვა და თანამშრომლობის გაღრმავება, რათა გავუმკლავდეთ ჩვენს წინაშე არსებულ გამოწვევებს. ჩვენი პარტნიორობა ემყარება შემდეგ საერთო პრინციპებს:

- **საავტომობილო ტრანსპორტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მობილობის, მინოდების ჯაჭვისა და გლობალური ეკონომიკისთვის.**
- **პროფესიონალი მძღოლები მინოდების ჯაჭვის საკვანძო აქტივია.**
- **პროფესიონალი მძღოლების სიმცირე და გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვს დაინტერესებული მხარეების ფართო ალიანსის დაუყოვნებლივ ქმედებებს.**
- **მძღოლების დატრენინგება და პროფესიონალიზმის გაზრდა მინოდების სფეროში არის ერთ - ერთი ძირითადი ელემენტი პროფესიის მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად და ამასთანავე მძღოლების სიმცირის პრობლემის აღმოსაფრხველად.**
- **სამართლებრივი შესაბამისობა და ურთიერთპატივისცემა ჩვენი საერთო ღირებულებების საფუძველი იქნება.**

ინდუსტრიის ყველა დაინტერესებული მხარე მონადინებულია, შეუერთდნენ ინიციატივას და მისცენ მაგალითი სხვებს. ხელმომწერები ხელს შეუწყობენ საავტომობილო ტრანსპორტის ინდუსტრიას რომ გახდეს უკეთესი სამუშაო ადგილი და ასევე ვალდებულებას იღებენ რომ გააუმჯობესონ არსებული სამუშაო პირობები.

ვალდებულებები ყველა მხარისათვის

- უზრუნველყოს პატივისცემითი და არადისკრიმინაციული კომუნიკაცია დატვირთვის, მიწოდების და ტრანსპორტირების ოპერაციებში მონაწილე ყველა მხარეს შორის.
- დაგეგმონ და შეასრულონ ოპერაციები უსაფრთხოდ და ეფექტურად.
- დროულად ურჩიონ შესაბამის მხარეებს ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ოპერაციაზე, მათ შორის ადრეულ მიწოდებაზე ან დაგვიანებაზე.
- მიანოდონ საკონტაქტო ინფორმაციები, რომლებითაც მხარეებს შეეძლება შეატყობინონ ადრეული მიწოდების ან დაგვიანებას, ასევე საგანგებო სიტუაციებისა და შეფერხებების შესახებ.
- სატრანსპორტო ოპერაციებში ჩართული ყველა მხარის ურთიერთდობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა.
- დარწმუნდნენ, რომ მძღოლებს აქვთ მარტივი და უსაფრთხო წვდომა სანიტარულ მოწყობილობებსა და საშუალებებზე მათი კეთილდღეობის გასაზრდელად COVID-19 პანდემიის დროს და მის მიღმა.

ვალდებულებები გამგზავნებისათვის

- მძღოლებისთვის უზრუნველყონ შესაფერისი ქალისა და მამაკაცის სანიტარული საშუალებები და სხვა ობიექტები, როგორცაა მოსასვენებელი ოთახები და კაფეტერიები, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის სტანდარტებს.
- ადგილზე უზრუნველყონ სათანადოდ განვრთნილი პერსონალი დატვირთვისა და გადმოტვირთვის საქმიანობისთვის.
- უზრუნველყონ მძღოლების უსაფრთხო და დაცული პარკინგი (დამით, სადაც ეს შესაძლებელია), რომელიც შესაფერისია მძიმე სატვირთო ავტომობილებისთვის.
- უზრუნველყონ მძღოლების უსაფრთხოება, შესაბამისი ტერიტორიების კარგად განათება, საცალფეხო ზონების და მოსაცდელი ადგილების მკაფიოდ აღნიშვნა და სატვირთო მანქანებისთვის მანევრის საკმარისი ადგილი.
- დარწმუნდნენ, რომ გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურა (ხელმისაწვდომი სანიტარული საშუალებები, საცალფეხო ზონები და საკმარისი, ფართო, კარგად განათებული, უსაფრთხო და დაცული ავტოსადგომები) ახალი უბნების მშენებლობისას.
- უზრუნველყონ დატვირთვის, მიწოდების და ტრანსპორტირების ოპერაციების საერთო ეფექტურობისა და სიჩქარის უზრუნველყოფა:
 - სლოტების გამოყოფა გასასვლელებთან რიგში დგომის თავიდან ასაცილებლად, ასევე სლოტების კომუნიკაცია და გადანაწილება შეფერხების / ინციდენტების შემთხვევაში.
 - მოძრაობის / სამუშაო დროის შეზღუდვების გათვალისწინებით პანდუსის მართვის / სლოტის განაწილების დაგეგმვა.
 - დროულად ზუსტი დოკუმენტაციის მიწოდება, დატვირთვის / გადმოტვირთვის დროის მინიმიზაცია და მძღოლების საერთო სამუშაო დროში ამ დროის ინტეგრირება, შესაბამისი მარეგულირებელი შეზღუდვების გათვალისწინებით.
 - საკმარისი კვალიფიკაციის პერსონალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მიწოდების, დამუშავების და მძღოლების დასახმარებლად, მათ შორის დატვირთვის / გადმოტვირთვის რეგულარული საათების მიღმა.
 - ადგილზე უსაფრთხო და დაცული ოპერაციების უზრუნველყოფა მკაფიო ინსტრუქციების გათვალისწინებით, შესაბამისი ობიექტის მახასიათებლებისა და გადაზიდვის სტატუსის შესახებ განახლებებით და ყველა ოპერაციის მაქსიმალური მეთვალყურეობით.

- უზრუნველყონ მხარეებს შორის შეთანხმებული მიწოდების მოქნილი ფანჯრები, გარე ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ოპერაციებზე.
- გაითვალისწინონ მოძრაობისა და დასვენების დროის წესები, სამუშაო დრო და ტახოგრაფის რეგულაციები დატვირთვის ან გადმოტვირთვის ოპერაციის დროს შიდა მოძრაობის შესამცირებლად.

ვალდებულებები სატრანსპორტო ოპერატორებისათვის

- უზრუნველყონ საჭირო და შესაბამისი სატვირთო მანქანები, რომლებიც ტრანსპორტირებისთვის შესაფერისია, დატვირთვისა და გადმოტვირთვის ამოცანების გასაადვილებლად, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად.
- უზრუნველყონ აუცილებელი და შესაბამისი ტრენინგი, ასევე უზრუნველყონ სამართლიანად და იურიდიულად შესაბამისი საკონტრაქტო შეთანხმებები მძღოლებისთვის.
- მძღოლს მიაწოდონ მკაფიო და მოკლე ინფორმაცია ადგილზე მიტანის შესახებ, თუ ეს ინფორმაცია წინასწარ არის ხელმისაწვდომი.
- აცნობონ მძღოლებს სატრანსპორტო ოპერაციის / მიწოდების სპეციფიკის შესახებ, მათ შორის პოტენციური ზემოქმედება მათ მართვასა და სამუშაო დროზე და საჭიროებისამებრ ინფორმირების აუცილებლობაზე, რამდენადაც ისინი განაგებენ სამუშაო დროს ან საჭირო შესვენებას.

ვალდებულებები მძღოლებისთვის

- გამოიყენონ გამგზავნის საშუალებები პატივისცემით, სველი წერტილების, მოსასვენებელი ოთახების და კაფეტერიების ჩათვლით.
- დაიცვან უსაფრთხოების და სხვა წესები.
- ინციდენტების, ადრეული თუ გვიანი ჩასვლის, პროდუქტის პრობლემებისა და ჩატვირთვის / გადმოტვირთვის ოპერაციების შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია დროულად.
- ადეკვატურ ვადაში აცნობონ მუშაკებს მათი დარჩენილი მართვის ან სამუშაო დროის ან საჭირო შესვენების შესახებ.
